ბრძოლეთ ბრძოლა ბოლშევიზმსა, შეერთდით!

კომუნისტი

სსრკ კ. პ. (ბ) ცენტრ. და თბ. პრეზიდიუმების და სახკ. ცენტრის ორგანო

ტელეფონები ხაზი: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—22—17, სამდივნოსი 10—58, მო. კანტორის—3—31.

ოთხშაბათი, 5 აპრილი 1933 წ. № 79 (3635)

სტალინისის რაიონის კოლმეურნეობები იბრძვიან
საქ. დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობაზე მონაწილეობის უფლებისათვის

საქ. ცაკის პრეზიდიუმის და სახკომსაბჭოს გაერთიანებული სხდომა შესდგება

დღეს, აპრილის 5-ს დღის 12 საათზე

დასწრება ცაკის პრეზიდიუმის და სახკომსაბჭოს ყველა წევრებისა სავალდებულოა.

საქ. ცაკის მდივანი თ. ღღენტი

პირველობისათვის მებრძოლი კოლმეურნეობები და ბრიგადები

სტალინისი, 3 აპრილი. საქ. კ.პ. (ბ) ცეკას 31 მარტის დადგენილებამ საქართველოს დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობის 25 მაისისთვის მოწვევის შესახებ, მხურვალე გამოხმაურება გამოიწვია სტალინისის რაიონის კოლმეურნეობებში. **კოლმეურნეობებმა გააძლიერეს მინდვრად მუშაობის ტემპები, რომ სააგაზაფხულო თესვის კამპანიის გეგმების უკეთ შესრულებით,** ხარისხო ბრივ დავალებათა (შრომის უკეთესი ორგანიზაცია, აგროწრეების დაცვა, შრომის დისციპლინის განმტკიცება) შესრულების უკეთესი ნიმუშის ჩვენებით, კულაკების, კულაკების აგენტების, მენშევიკური ელემენტების. მოხეტიალეთა, ზარმაცების წინააღმდეგ, ბრძოლით, საკოლმეურნეო ქონების დაცვით **მოიპოვონ სრულიად საქართველოს დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობაზე დელეგატების გაგზავნის უფლება.**

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას 31 მარტის დადგენილებას სტალინისის რაიონში პირველად გამოეხმაურა ახალსოფლის კოლმეურნეობა, რომელმაც **ვადაზე ადრე დაამთავრა საგაზაფხულო თავთავიან კულტურების თესვა და ხვნა - თესვის დროს მთლიანად დაიცვა აგროტექნიკური წესები. კოლმეურნეობას დამთავრებული აქვს აგრეთვე შაქრის ჭარხლის თესვა.**

ბეზენჩუკელ კოლმეურნეთა სტალინისის რაიონში ჩამოსვლის მოლოდინში კოლმეურნეებმა გამოჰყვეს სპეციალური ბრიგადა ყველა დავალებათა შესრულების შესამოწმებლად.

იმართვიან რა საქართველოს დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობაზე დელეგატების გაგზავნის უფლების მოპოვებისათვის ახალსოფლის კოლმეურნეებმა **სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს სოფ. ოქროსოფლის კოლმეურნეობა.** სოცშეჯიბრება ფართოდ იშლება შიგნით კოლმეურნეობაში, საკოლმეურნეო ბრიგადებსა და ცალკე კოლმეურნეთა შორის. **ჩუბინიძის** ბრიგადამ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია **ზარაქიშვილის** ბრიგადა და შეჯიბრების ძირითად მუხლებათ დასახა კოლმეურნეთა რესპუბლიკანურ ყრილობისათვის უკეთ მომზადება, უმაღლესი მოსავლის და შემოსავლის მიღება (ადს).

უმგზავსობანი ყარაიას რაიონის კოლმეურნეობებში

ყარაიას რაიმოწყობის და სამ. სატრაქტორო სადგურმა დღემდე ვერ მოახდინეს გარღვევა კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის და ანგარიშწორების მოწესრიგების საქმეში. რაიონის თითქმის ყველა რიგ კოლმეურნეობებში არ არის გატარებული სამართლიანი სისტემა, გამომუშავებული შრომადღეების აღრიცხვა არ ხდება შესრულებულ სამუშაოს რაოდენობის და ხარისხის მიხედვით. მექანიზატორთაშორის ნორმების გამოუყვანელ: ხდება მუშაობის პროცესში („ლეჯობის", „ნარიმანოვის", „ეოროშილოვის" სახ. კოლმეურნეობები და სხვ.). ნორმებს განსილვას არ აწარმოებენ კოლმეურნეთა საერთო კრებებზე.

რაონის თითქმის ყველა კოლმეურნეობებში შრომის წოვნაკები ინახება განცალკევებით, კოლმეურნეებმა არ იციან რამდენი შრომა-დღე აქვთ გამომუშავებული. ლენინის სახ. კოლმეურნეობაში ბრიგადების მოწყობა ხდება კუთვნილ ყრის საშუალებით.

საქ.-სატ. სადგურში ინსტრუქტორ-ბუღალტ. თანამდებობაზე მუშაობს ყოფ. თეთრ გვარდიელი ოფიცერი მეშკოვი, რომელიც ხელს უწყობს კოლმეურნეობებში ანგარიშწორების მოწესრიგებას. განუყოფელ ფონდის განაწილებას მასიური ხასიათი აქვს ყარაია. რაიონში, მაგ. 1932 წ. შემოსავლიდან ლენინის სახ. კოლმეურნეობას განუკუთვნეს ფონდში უნდა გადაერიცხა 2.574 მან., აქედან გადაუცეს 677 მან., ხოლო ეს თანხაც განაწილეს წევრებზე. ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი ხარიმანოვის, და ჭიათელეთილის სახ. კოლმეურნეობებში, კოლმეურნეობის „იალდაში" და სხვ. შეიტყობებამ გვიჩვენა, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში შეპარული კულაკები და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტები ანაგვიანებენ საკოლმეურნეო ქონებას. მაგ. ნარიმანოვის სახ. კოლმეურნეობამ **1932—33 წ. გაწევლიანებაში გაიყიდა 36.859 მან. ღირებულების, მუშა და პროდუქტიული პირუტყვი,** — ეს თანხა მთლიანად გაანაწილეს.

წლიური საწარმოო გეგმები კოლმეურნეობებში შედგენილია კაბინეტურად, სანდორლო ფერმის დაგალებაში არ არის ნახსენები პირუტყვის ზრდა. პროდუქტის გაცემა-ნაწილი და სხვ.; ლენინის სახ. კოლმეურნეობის № 8 ბრიგადას არ აქვს შედგენილი წლიური საწარმოო დაგალება, გეგმები არ არის დამტკიცებული სართო კრებაზე.

ასე. ცეკას და სახკომსაბჭოს დადგენილება ნოსტალიარობის გადიდების შესახებ ყარაიას რაიონში არ არის დამუშავებული. ფაქტიურად არც ერთ კოლმეურნეობაში არაა გატარებული თესლბრუნვა, ბრიგადები არ არის მიმაგრებული თესლბრუნვის მინდვრებზე და სხვ.

კოლმეურნეობებში მეტად გაბერილია ადმინისტრატიული შტატი. მაგ. ფიზიკურ მუშაობისაგან განთავისუფლებულ შტატის შენახვაზე ნარიმანოვის სახ. კოლმეურნეობაში თეორად მოდის 256,5 შრომა-დღე, ლენინის სახ. კოლმეურნეობაში 223 შრომა-დღე, (8,5 პროც.), მაშინ, როდესაც ადმინისტრატიული საშუალო ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს 1,5 —3 პროც.

კოლმეურნეობები არ არიან უზრუნველ ყოფილი ბოსტნეულის, სიმინდის, კარტოფილის და სხვ. კულტურათა თესლეულით. ლენინის და ნარიმანოვის სახ. კოლმეურნეობებმა კარტოფილის და სიმინდის მოსავალი მთლიანად გაანაწილეს წევრებს შორის საოსლე ფონდების გამოყოფის გარეშე.

რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები არ ღებულობენ საჭირო ზომებს საკოლმეურნეო ქონების ლიკვიდაციის საბრძოლველად; ყარაიას სახ. სატ. სადგურის ხელმძღვანელობა სუსტად ებრძვიან კოლმეურნეობების ორგანიზაციულად და პოლიტიკურად იყვანტიკაციებისათვის, კოლმეურნეობებიდან კულაკების და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების გაწმენდისათვის.

ყარაიას რაიონში წელს უნდა დაითესოს **ბამბა** 4.500 ჰექტარზე, აქედან საბჭოთა მეურნეობებში — 1.500 ჰექტ., კოლმეურნეობებში 2.430 ჰექტ. და ინდივიდუალურ სექტორში — 570 ჰექტ.

ამ საბრძოლო დავალებების შესრულება დამოკიდებულია რაიონის პარტორგი, საბჭოთა და სახ.-სატ. სადგურის ხელმძღვანელობაზე და პრაქტიკულ დახმარებაზე. აღგილობრივ ორგანიზაციებმა, საკოლმეურნეო ბაზეზე დაყრდნობით, გადაჭრით უნდა გაალეარონ ბრძოლა კოლმეურნეობებიდან კულაკური და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების განდევნისათვის, კოლმეურნეობებში დამახინჯებათა დაუყოვნებლივ გამოსწორებისათვის და მათი (კოლმეურნეობებს.) ორგანიზაციულად და პოლიტიკურად განმტკიცებისათვის.

საქ. მიწახკომის ბრიგადა: გ. ციხისაძე, ი. ივანოვი.

საგაზაფხულო კულტურების თესვა

საქ. მიწადმოქმედების კომისარიატის ცნობით, 1-ლი აპრილისათვის საქართველოში მარცვლეული კულტურები დათესილი იყო სულ **22.655** ჰექტარზე, შესრულებული იყო გეგმის 4,3%; აქედან **საბჭოთა მეურნეობებს** მოხვილი ჰქონდათ 4573 ჰექტარი, გეგმის 43,1%, **კოლმეურნეობებს**—7.653 ჰექტარი, გეგმის 5,3% და ერთპიროვნულ მეურნეობებს — 10.429 ჰექტარი, გეგმის 2,8%.

კულტურების მიხედვით დათესილია:

	ჰექტარი	გეგმის
ხორბალი	6348	12,7%
ქერი	15322	20,3%
სვია	184	3,2%
ფეტვი	4	0,6%
სიმინდი	407	0,1%
შვრია	375	14,9%
დანარჩენი მარცვლეული	15	1,3%

ამავე რიცხვისათვის დათესილი იყო.

	ჰექტარი	%%
ცარცვეთანი კულტ.	130	29,6
შაქრის ჭარხალი	370	8,9
მზესუმზირა	1.933	35,1
სელი	8	0,4
ნათესი ბალახი	1.905	7,3
საკვები ძირნაყოფა	4	0,3
ჭართოფილი	1.882	10,2
ბოსტნეული	2.074,6	10.6

ბოსტნეულიდან დათესილია: კომბოსტო—56,7 ჰექტარი, პომიდორი—205 ჰექტ., ბადრიჯანი—18 ჰექტ., სტაფილო—33,5 ჰექტ., საშქელი ჭარხალი—58,7 ჰექტ., რედისკა—69,2 ჰექტ., ხახვი—314,6 ჰექტ., ნიორი—116,5 ჰექტ. და დანარჩენი ბოსტნეული—355,9 ჰექტ.

არნიშნულ ცნობებში არ შედის საბჭოთა მეურნეობების სახკომისარიატის სისტემაში შემავალ ნათესებზე.

საგაზაფხულო კამპანიის მიმდინარეობა 1-ლი აპრილისათვის

საგაზაფხულო ხვნა

მიწათმოქმედების კომისარიატის ცნობით 1-ლი აპრილისათვის საქართველოში მოხნული იყო სულ **98.146 ჰექტარი**, გეგმის 10,1 პროც.; აქედან **საბჭოთა მეურნეობებს** მოხნული აქვთ 9.191 ჰექტარი (ტგმის 45,4 პროც.); **კოლმეურნეობებს** — 30.037 ჰექტ. (19,9 პროც.) და ინდივიდუალურ მეურნეობებს — 42.691 ჰექტ. (10,8 პროც.).

სათესლე ფონდი

თავთავიან კულტურების სათესლე ფონდი კოლმეურნეობებს შეგროვილი ქონდათ **67.914 ცენტნერის** რაოდენობით, გეგმის 112,1 პროც. აქედან **ხორბალი** — 29.000 ცენტნერი (115,2 პროც.) და **ქერი**—38.832 ცენტნერი, გეგმის 109,7 პროც.

სიმინდის სათესლე ფონდი შეგროვილი იყო 46. 480 ცენტნერი, (117,4 პროც.), ლობიო 4. 146 ცენტნერი (89 პროც.) და კარტოფილი 39.350 ცენტნერი, გეგმის 63,8 პროც.

ამავე რიცხვისათვის დამზადებული ფონდი შეგროვილი იყო: თავთავიანი კულტურები 23.218 ცენტნერი, 72.2 პროც. კოლმეურნეობებში — 8.996 ცენტნერი (99 პროც.) და ერთპიროვნულ მეურნეობებში — 14.222 ცენტნერი (61,6 პროც.) და სიმინდი 16.428 ცენტნერი, გეგმის 78,7 პროც., (კოლმეურნეობებში — 7.274 ცენტნერი, გეგმის 122,4 პროც. და ერთპიროვნულ მეურნეობებში 9.154 ცენტნერი, 61,3 პროც.).

სათესლე მასალის გაწმენდა

1-ლი აპრილისათვის გაწმენდილი იყო სულ 144,043 ცენტნერი, გეგმის 64,2 პროც. აქედან კოლმეურნეობებში — 45.095 ცენტნერი (გეგმის 74,4 პროც.) და ერთპიროვნულ მეურნეობებში — 94.622 ცენტნერი, გეგმის 57,7 პროც.

სათესლე მასალის შეწამვლა

შეწამლული იყო სულ 62.643 ცენტნერი სათესლე მასალა (გეგმის 43,2 პროც.); აქედან საბჭოთა მეურნეობებში — 6.046 ცენტნერი. (52.5 პროც.), კოლმეურნეობებში— 21.307 ცენტნ. — (56,7 პროც.) და ერთპიროვნულ მეურნეობებში 29.999 ცენტნერი, გეგმის 31,3 პროც.

ნიადაგის მოგზადება მრავალწლიან ნარგავოგათათვის

ახალი ვენახის გასაშენებლად 1-ლი აპრილისათვის მომზადებული იყო ნიადაგი **1.426 ჰექტარი** (95,1 პროც.); აქედან საბჭოთა მეურნეობებში — 413 ჰექტ. (91,8 პროც.), კოლმეურნეობებში — 363 ჰექტ. (73,9 პროც.) და ერთპიროვნულ მეურნეობებში — 640 ჰექტარი გეგმის 114,5 პროც.

ხილის ბაღებისათვის მომზადებული იყო 797 ჰექტ. (65,8 პროც.), საბჭოთა მეურნეობებში 118 ჰექტ. გეგმის 77,1 პროც., კოლმეურნეობებში 528 ჰექტ. და ერთპიროვნულ მეურნეობებში 61 ჰექტარი.

საკვების დაზავება მუშა-პიროტყვისათვის

მუშა-პიროტყვისათვის დაგროვილი იყო კონცენტრატები 15.211 ცენტნერი (83.5 პროც.); საბჭოთა მეურნეობებში 1.434 ცენტნ. (20,4 პროც.) და კოლმეურნეობებში 13.272 ცენტნ. (18,7 პროც.) და ულუში საკვები 437.555 ცენტნ., გეგმის 76.2 პროც. (საბჭოთა მეურნეობებში 7.521 ცენტნ 44,9 პროც. და კოლმეურნეობებში 430 034 ცენტნერი, გეგმის 77,1 პროც.).

ვანის რაიონი თესვისათვის ბრძოლაში

ვანი, 4 აპრილი ((ტელეგ. სპეც. კორ.) ვანის რაიონში უკვე დაიწყო საგაზაფხულო მასიური ხვნა-თესვა. 1 აპრილისათვის ბოსტნეული დათესილი იყო 56 ჰექტარზე. **მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას თესვის გეგმა შესრულებული აქვს 70 პროცენტით.**

რაიონში საადრეო ხვნა ჩატარებულია 793 ჰექტარზე, აქედან მოხნულია **კოლმეურნეობებში** — 453 ჰექტ. **ინდივიდუალურ სექტორში**— 340 ჰექტ. 1 აპრილისათვის ადრეული ხვნის გეგმა შესრულებული იყო 10 პროცენტით.

ტ. აცანელი.

მუხრანის საბჭოთა მეურნეობაში, თესვა 12 მწკრივიანი თათესით

საკავშირო დეკეშათა სააგენტოს ცნობა

3 აპრილს საგარეო საქმეთა სახ. კომისარმა ამხ. ლიტვინოვმა გერმანიის ელჩს ბ. ფონ - ბრაკენს ენერგიული პროტესტი განუცხადა საბჭოთა მოქალაქეების ცე მის,მათდამი არა ადამიანური მოპყრობის წინააღმდეგ, ამ მოქალაქეთა უკანონო და დაუსაბუთებელი დაპატიმრების წინააღმდეგ, საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლების განყოფილებებსა და საბჭოთა გემებზე ჩხრეკის და აგრეთვე საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციების ძარცვის წინააღმდეგ (ადს).

სოციალ ფაშისტები ჰიტლერის სამსახურში

სტრასბოლი, 28 მარტი. ალზასის-ლოთარინგიის სოც.-დემოკრატიული ფრაქციის მდივანმა ჰერცმა, რომელიც იმყოფება დანიაში, გაზეთ „პოლიტიკენ"-ის თანამშრომელთან საუბარის დროს დაიცვა ფაშისტური რეჟიმი გერმანიაში. ჰერცმა განაცხადა, რომ საზღვარგარეთელ პრეშაში მოთავსებული ცნობები ნაციონალ-სოციალისტების ბოროტმოქმედებათა შესახებ სოციალ-დემოკრატების მიზანია „მთელი გერმანიის ისტერიკის" საბოლოოთ საზიანოდ". ალსასთან ჰერცმა გადასცა გაზეთის თანამშრომელს გერმანიის სოციალ-დემოკრატების თხოვნა მომავალში არ მოითავსონ ასეთი ცნობები (ადს).

კუგე აუალიგეგს ფაშისტურ პროგრამას

ბერლინი, 3 აპრილი. ჰანოვერში გამართულ მიტინგზე ნაციონალ-სოციალისტმა კუპეე განაცხადა, რომ სახელმწიფოს ხელმძღვანელობის არ შეუძლია წვადიდან არავინ კომპრომისზე. კუპეს სიტყვიდან ცხადი ხდებოდა ხელისუფლების სპირველები: ძლევრი სამხედრო, ხალხი, რომელსაც უნდა თავდაცვის უნარი, ამხედროო ბეგარის აღდგენა, გერმანიის საზღვრების აღდგენა და იმის მოპოვება, რაც მოპარეს გერმანიას „მარქსისტების" დახმარებით.

კუპემ განაცხადა, რომ სახელმწიფოს ხელმძღვანელობიდან „მარქსისტებთან ერთად განდევნილ უნდა იქნან ისინიც, ვინც ხელს უწყობდა მარქსისტების წინ წაწევას (ადს).

ებრაელების აბუჩად აგდება

პრაღა, 3 აპრილი. პარიზის გაზეთების ცნობით, 2-აპრილს ღამით ნაციონალ-სოციალისტების მოიერიშეებმა გამოიყენეს პოლონეთის ავსტრიის ქვეშევრდომი 4 ებრაელი, რომლებიც იმყოფებოდნენ კონცენტრაციონულ ბანაკში პიერეალდში (საქსონია), შეკრეს, სცემეს, და საბარგო ავტომობილით წაიყვანეს, ჩეხო-სლოვაკიის საზღვრისაკენ. ვარსნდოლფის (ჩეხო-სლოვაკია) მახლობლად. მათ წინადადება მისცეს გადასულიყვნენ საზღვარზე და გაქცეულიყვნენ. როგორც კი გაეშვებულებმა გადაირბინეს საზღვარი მოიერიშეებმა დაუწყეს მათ სროლა და ყველა მძიმედ დაჭრეს (ადს).

შტრაზერი მწუხარებას გამოსთქვამს ებრაელთა გოიკოტის შეწყვეტის გამო

ბერლინი, 3 აპრილი. გუშინ მიუხედნენ ნაციონალ-სოციალისტთა ერთ-ერთ სტუმარს ზე სიტყვა წარმოსთქვა გოიკოტის გამო, რე შტრაზერმა, რომელმაც გამოსთქვა შეწუხარება იმის გამო, რომ ნაციონალ-სოციალისტებმა საქმე ისაა, რომ ამ ინიციატივას საგანგებო ორგანიზაციულად და პოლიტიკურად, რომ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეთ უპარტიო კოლმეურნეთა მოწინავე ნაწილს. ამჟამად განსაკუთრებით საჭიროა, როგორც ამბ. სტალინმა მიგვითითა, „რომ პარტიულები არ იმოგნებოდნენ უპარტიოებისაგან, რომ პარტიულები არ იკეტებოდნენ თავის პარტიულობით, არამედ ყურს უგდებდნენ უპარტიოების ხმას, რომ ისინი არა მარტო ასწავლიდნენ უპარტიოებს, არამედ სწავლობდნენ კიდეც მათგან".

დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობები და ინ. ცაკი ახსნა-განმარტებითი მუშაობა, რომელიც ჩაატარეს ყრილობების, პირველ ყოვლისა საკავშირო ყრილობის, დელეგატებმა კიდევ უფრო მჭიდროდ დაკავშირებს ჩვენს პარტიას კოლმეურნეთა მილიონ ნაან მასებთან. ეს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა შემდეგშიაც უნდა გაიშალოს.

საგაზაფხულო თესვის ჩატარება იქნება ყოველი პარტიული და კომკავშირული უყურადღებს ბრძოლის უნარიანობის უნიშვნელოვანესი, გადაწყვეტი შემოწმებაო იმის შემოწმება „თუ რამდენად შესწევთ მათ უნარი ბოლშევიკურად გაიყოლიონ კოლმეურნეთა მასა, დაიკვრონ ჩვენი უმრავლესობა კოლმეურნეობაში დარაზმონ მოწინავე კოლმეურნეები, ამხილონ ზარმაცები, ულალატნი და მოკულაკონი.

ჩვენი აგიტაცია უნდა ატარებდეს პოლიტიკურად გამახვილებულ ხასიათს, იგი მარჯვედ უნდა სცემდეს კლასობრივ მტერს და ზარმაცს, რომელიც თესვის მზადებასა და ჩატარებაში ხელს უშლის საერთო საქმეს.

კომუნისტებო და კომკავშირელებო! თქვენი დამრაზმვა როლისაგან, თქვენი უნარისაგან იყვეთ მაგალითი წარმოებაში და გაუძღვით მასობრივი პოლიტიკური მუშაობა მინდორად — დამოკიდებულია ამჟამად საგაზაფხულო თესვის წარმატება.

მორიგი თავდასხმის ინსცენირება

ბერლინი, 3 აპრილი. გუშინ ცვიბრიუკენში, საარის ოლქის მახლობლად, მოიერიშეებმა გამართეს დემონსტრაცია. დემონსტრაციაში მონაწილეობას დებულობდნენ საარის ოლქში აკრძალული მოიერიშე რაზმების წევრები. ისინი დემოსტრაციიდან მოკვდენ სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილი. მაგრამ პლაკატით: „საარის ოლქის ყოფილი მოიერიშეები. ჩვენ აკრძალული ვართ".

ოფიციალური ცნობებით, დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებულობდნენ საარის ოლქის ყველა ქალაქების და მრავალი სოფლის მოიერიშე რაზმეულები, აგრეთვე მთავრობის კომისიის მოხელეები. დემონსტრანტებს მოჰქონდათ პლაკატები, რომლებიც მოითხოვდნენ საარის ოლქის დაბრუნებას გერმანიისათვის. დემონსტრანტებს თან ახლდნენ მოიერიშეთა რაზმები ბეზღაურების ფორმაში და ცხენოსანი რაზმები. მიტინგზე გამოვიდა ცვეიბრიუკენის მოიერიშეთა ხელმძღვანელი, რომელმაც განაცხადა: „ქალაქ ნეიკირხენში თავი მოიყარეს გერმანიიდან გამოქცეულმა სხვადასხვა პოლიტიკურმა დამნაშავეებმა, რომლებიც ცდილობენ საარის ოლქში თავისი მოღალატური გეგმების განხორციელებას" (ადს).

ჩეხოსლოვაკიის ნაციონალ - სოციალისტებსა და „ფოლადის მუშა-რაზმს" შორის

ბერლინი, 3 აპრილი. ტიურინგიის მთავრობამ ოფიციალურად გამაცხადა, რომ შტალჰელმების მიერ ნაციონალ - სოციალისტების მიმართ უხეში ტონის გამო, ყოველგვარ კონტაქტს სწყვეტს „ფოლადის მუშაზრაზმის" კავშირთან. ამასთან დაკავშირებით „კელნიშე ციტუნგ"-ი იუწყება, რომ „ფოლადის მუშაზრაზმი" სრულიად გეშმაინის კავშირის ხელმძღვანელობა სრულიად დაუშვებლად სთვლის ტიურინგიის მთავრობის ასეთ საქციელს და ამის გამო მოითხოვს არნიშნული საკითხებზე გერმანიის მთავრობის გადაწყვეტილებას..

მოსაზღვრე ქალაქ ნეიშტატში ნაციონალ სოციალისტებმა და შტალჰელმელებმა გამოაქვეყნეს საერთო განცხადება, რომლეც შიც ხაზგასმულია ამ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის აუცილებლობა მოსაზღვრე ოლქში. ამავე დროს განცხადება ამტკიცებს, რომ ნეიშტატში ტერორის მოქმედება ნაციონალ-სოციალისტების მიერ მიმართულია არა მარტო კომუნისტების, არამედ სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგაც (ადს).

ჰიტლერის რაზმელები განაგრძობენ წაგლეჯას

ბერლინი, 3 აპრილი. პოლიციის ცნობებით, 1 აპრილს კელნში ერთ ებრაელ ვაჭრის ბინაზე გამოცხადდა ნაციონალ-სოციალისტთა მოიერიშე რაზმეულთა ფორმაში გამოწყობილი 2 კაცი, რომლებმაც ჩამოართვეს მას ათასი მარკა და 70 ჰოლანდიური გულდენი. ცნობაში აღნიშნულია, რომ ლაპარაკია „დანაშაულებრივ ელემენტებზე, რომლებიც უკანონოდ ატარებენ მოიერიშეთა ფორმას. მაგრამ ეს ბოროტმოქმედნი არ არიან დაპატიმრებულნი. ამაკე დღეს მეორე ებრაელი ვაჭრის ბინაზე გამოცხადდენ უცნობი პირები, რომლებსაც ტკცათ ნაციონალ-სოციალისტური პარტიის განსაკუთრებული რაზმის წევრთა ფორმა და გაეკეთებული ჰქონდათ ბოიკოტის სამკლავეები. მათ გაჩხრიკეს ებრაელი ვაჭრის ბინა, ჩამოართვეს მას 35 მარკა და ორი სანადირო თოფი (ადს).

ფაშისტთა მოციქულების დემოსტრაცია ცვეიბრიუკენში

ბერლინი, 3 აპრილი. გუშინ ცვეიბრიუკენში, საარის ოლქის მახლობლად, მოიერიშეებმა გამართეს დემონსტრაცია. დემონსტრაციაში მონაწილეობას დებულობდნენ საარის ოლქის ყველა ქალაქების და მრავალი სოფლის მოიერიშე რაზმეულები. დემონსტრანტებს მოჰქონდათ პლაკატები, რომლებიც მოითხოვდნენ საარის ოლქის დაბრუნებას გერმანიისათვის. დემონსტრანტებს თან ახლდნენ მოიერიშეთა რაზმები ბეზღაურების ფორმაში და ცხენოსანი რაზმები. მიტინგზე გამოვიდა ცვეიბრიუკენის მოიერიშეთა ხელმძღვანელი, რომელმაც განაცხადა: „ქალაქ ნეიკირხენში თავი მოიყარეს გერმანიიდან გამოქცეულმა სხვადასხვა პოლიტიკურმა დამნაშავეებმა, რომლებიც ცდილობენ საარის ოლქში თავისი მოღალატური გეგმების განხორციელებას" (ადს).

ებრაელთა ბოიკოტი გრძელდება

ბერლინი, 3 აპრილი. ოფიციალურად იმის, რომ ებრაელთა ბოიკოტი ოფიციალურად შეწყვეტილ იქნა პირველ აპრილს საღამოთი, გუშინ მთელს ზემო და ქვემო სილეზიაში ბოიკოტის კამპანიას. დამატებითი ცნობების თანახმად, კილში სისხლისმღვრელი შეჯახების დროს თითქოს, მოკლულ იქნა მოიერიშე, რის გამო სპასტანიოში მოჰკლეს ებრაელი ვაჭარი. ამჟამად მიღებული ცნობების თანახმად, ქალაქში გავრცელებული ხმები მოიერიშე მოკვლის შესახებ არ დამტკიცდა სწორი. დაც რაცა მოიერიშე განკურნების გზაზეა (ადს).

მეორე ინტერნაციონალის გამცემლური ტაქტიკა

გერმანიის სოციალ-დემოკრატია საბოლოოდ გადაბარგდა ფაშიზმის ბანაკში

საფრანგეთის მუშების აღელვება — სოციალისტების მანევრები

პარიზი, 3 აპრილი. („იზვესტია"-ს საკუთარი კორესპონდენტისაგან). სოციალ-დემოკრატ და რეფორმისტ ლიდერების სამარცხვინო კაპიტულიაციამ ჰიტლერის წინაშე უკიდურესი დაბნეულობა გამოიწვია საფრანგეთის მათ თანამოძმეებში. ამ დაბნეულობის დამახასიათებელია ის, ფაქტი, რომ საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყველა ლიდერები დენო ბლიუმის და პოლ ფორის ხელისმოწერა სვამენ ბერლინიდან მოსულ ტელეგრამებზე, სოციალისტური პარტიის ორი უმთავრესი ლიდერების საფრანგეთის მუშებმა, რომლებიც ჯერ კიდევ მოყვებიან სოციალისტებს. აღშფოთებით გაიგეს „ლიუმანიტე"-დან, რომ გერმანიის პროფკავშირების გაერთიანების ხელმძღვანელები ცდილობენ ნაციონალ-სოციალისტების ხელმძღვანელებთან შეხვედრას ინტერნაციონალის ხელმძღვანელების მონაწილეობით, რომ მათთანაც ერთად გამოიმუშავებინათ ფაშიზმთან პროფკავშირების თანამშრომლობის პირობები.

სხვის ფედერაციის სოციალისტების ხაიმოს კრებაზე მუშა-სოციალისტები გამოსვლებიდან თავის უკიდურეს ლიდერების სოციალ-დემოკრატის ლიდერების საქციელის გამო. ისინი გულისწყრომით მოგვითხრობენ ციურიზში ლეონ ბლიუმის და ვალენტინ ფეირის ვიზიტის შესახებ, რომელიც იქ გაემგზავრა „სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობის სოციალისტურ პრაღაში შეწყვეტა ნაციონალ-სოციალისტების ბორტმოქმედებათა გამოქვეყნება და აგრეთვე უარი გაეცადებინა ყოველგვარ კონტაქტზე, თუ გინდ წერილების გაცვლა-გამოცვლის ფორმებში მე-3 ინტერნაციონალთან. ვალენსა განაცხადა, რომ ის თავის უსრულებელ საქმეს ასრულებს მიტლერის სრული თანხმობით, რომ უზრუნველყოს თავდაცვის პირველი ეტაპები, სოციალ - დემოკრატების ლიდერები მზად არიან გაპყონ ათეული მილიონი კომუნისტები, სოციალ-დემოკრატი მუშები და ებრაელები, რომელთაც აწამებენ და მკლავენ ჰიტლერელები, მაგრამ ეს ფაქტები ლიდერებმა მოახერხეს დაეფარათ მასებისაგან და სამ. ლეონ ბლიუმის „პოპულერ"-ში დაბეჭდილ სტატიაში „ჰიტლერიზმი და ჩვენ" ისინი ეცდებიან დაარწმუნონ მკითხველი, რომ ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლა ნიშნავს მხოლოდ ბურჟუაზიის ერთ ნაწილის ხელისუფლებაში მოსვლას, ხოლო ფაშიზმის ბრძოლა ბურჟუაზიის ერთ ნაწილის წინააღმდეგ.

ამ ფაქტებმა ფართო მასებში გამოიწვია ნამდვილი აღშფოთება. ამ აღშფოთების გამოხატულებაა ის ფაქტი, რომ ბევრ ადგილობრივ ორგანიზაციებში ხალხი ითხოვს ერთიანი ფრონტის დაუყოვნებლივ დამყარებას კომუნისტებთან. ამ მოთხოვნილების ასახვა იყო

ამხ. პოსტიშევის მოხსენება

ხარკოვშჩინის მუშაგლეხკორთა პირველ საოლქო ყრილობაზე

ამხანაგებო! საოლქო პარტიულმა კომიტეტმა თქვენ მოგიწვიათ იმისათვის, რომ ჩვენი ოლქის მუშაგლეხკორთა წინაშე დასვას საკოლმეურნეო მშენებლობის მთელი რიგი უაღრესად სერიოზული პრაქტიკული საკითხები საგაზაფხულო თესვისათვის მზა დებასთან დაკავშირებით. ჩვენ თქვენთან ერთად უნდა განვსაზღვროთ მუშაკოლმეურნეობის მიწის ფართობი სხვადასხვა კულტურების დასათესად, სწორად და ნაწილობრივ კოლმეურნეობის ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი სხვადასხვა სამუშაოს მიხედვით და სხვ. ამ მუშაკეთებისგან ძალიან დიდათ არის დამოკიდებული კოლმეურნეთა შრომის შედეგები. კულაკი, პატრიოტიული, მახვილი და მათი დამქაშები ცდილობენ მოხვდენ ამ ხელმძღვანელი პოსტებზე კოლმეურნეობებში. ხელმძღვანელ საკოლმეურნეო კადრების სწორ შერჩევას და მათი განუწყვეტელი ზრდის უზრუნველყოფას განსაკუთრებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ - სამეურნეო - გაწმენდა - კონსოლიდაციის ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის.

მთლიანი კოლექტივიზაციის დაწყებიდან დღევანდლამდე საკოლეურნეო მუშაობის ზაზე გაწეული გლეხთა მუშებიდან წამოსული გლეხკორების ამოცანა და ალზარდა კოლექტიური მეურნეობის მომავალი ნიშნები

ამჟამად ჩვენ უკვე გვყავს ბევრი თავმჯდომარე, ბრიგადირი, მემინდვრე, რომელნიც ძლეული მსხვილი განსაზღვრობენ მეურნეობის ხელშეწყობით მეურნეობის ხელმძღვანელობის ნიშნებს. მაგრამ ასეთი მუშაკები ჩვენ ჯერჯერობით მაინც არა გვყავს საკმაოდ. ეს არც გასაკვირია. ამა საიდან უნდა გაჩენილიყო ერთბაშად ეს გამოცდილი, კვალიფიციური, ხელმძღვანელი საკოლმეურნეო კადრები ისეთი რაოდენობით, როგორიც დაკმაყოფილებდა საბჭოთა კავშირის ორასი ათასი კოლმეურნეობის მოთხოვნილებას? საიდან უნდა მიეღო ეს ორგანიზაციული - სამეურნეო გამოცდილება გუშინ ხელ გლეხს ან თუნდაც საშუალო გლეხს, როცა იგი ხშირად თავს ძლივს ართმევდა თავის ერთნახევარ-ორ ჰექტარს მიწას, ერთად-ერთ ძროხას და ხუთოთხე ქათამს?

ოპორტუნისტი, აქედან გამოიყვანდა დასკვნას: რაკი გამოცდილება არა გვაქვს, კადრები არა გვყავს საჭირო იყო ამ ფენი ციტა-ცხელება. ოპორტუნისტი აქედან შეეცდებოდა მუშაობის მთელი დეფექტები ეკისრა მხოლოდ და მხოლოდ სათანადო კადრების და გამოცდილების უქონლობით.

თუ ასე ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ ოქტომბრის რევოლუციაც არ უნდა დაგვეწყო. რომ ფაქტია, რომ მუშათა კლასს ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ პირველ ხანებში არ ჰქონდა ასეთი გოგამტკიცი ვნის ხელმძღვანელობის გამოცდილება, მას ძალიან ცოტა ჰყავდა თავისი ხელმძღვანელი კადრები, გასაკვირვებით ტექნიკური კადრები. მაგრამ მუშათა კლასმა ეს ამოცანა დასძლია, მან წამოაყენა, აღზარდა და მოამზადა თავისი პროლეტარული კადრები.

ცხადია, რომ ასეთი „მუშაობა“ უპარტიო საკოლმეურნეო აქტივთან ვერავითარ ცვლას ვერ ახტოვებს, გარდა რაიკომში რა რაიონმასპინძი გაგზავნილ ანგარიშისა და ნაკრები ციობებისა, ასეთი მუშაობის დროს სრულიად აუცილებელია ნამდვილი აქტივისტების გაფანტვა, ჩამოშორება, ვინაიდან ნამდვილ მოწინავე კოლმეურნეს უყვარს საქმე და არა დროს დაკარგვა ლაყბობაზე, რომელიც ვერავითარ გამოხატულებას ვერ ჰპოვებს კოლმეურნეობის ცხოვრებასა და მუშაობაში.

პარტიული და კომკავშირული უჯრედები დიდ შეცდომას უშვებენ, როცა ფიქრობენ რომ შესაძლებელია გვერდი აუარონ უპარტიო საკოლმეურნეო აქტივს და თვითონ გაზრონ მისი მაგიერობა, ასეთ შემთხვევებში ისინი ივიწყებენ, რომ, როცა არ აწარმოებენ მუშაობას უპარტიო საკოლმეურნეო აქტივთან, ამით ისინი ჰკარგავენ იმ უმნიშვნელოვანეს რგოლს, რომელიც აკავშირებს მათ კოლექტიურ ხალხთან და ამით მასებთან. ჩვენ უნდა ვოვანგაროთ სისტემატიური ბოლშევიკური მუშაობა უპარტიო საკოლმეურნეო აქტივთან ეს არის კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ - სამეურნეო განმტკიცების მეორე პირობა და ამოცანა.

კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ - სამეურნეო გამტკიცება მოითხოვს დაუღალავ მუშაობას იმ კულაკებს, კულაკს ურიერების გამოსამჟღავნებლად და მათ წი ნააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც ცდილობენ აიფეთქონ კოლმეურნეობები შენგდან და დაუპირისპირონ ისინი პროლეტარულ ხალხმეწყობას. ეს ამოცანა ავრეთვე მოითხოვს შეურიგებელ ბრძოლას ჭურების, ზარმაცების და არამზადების წაიღვიწ საბრძოლველად, რომლებიც ატაცებენ, პატიოსანი, კეთილსინდისიერი მშრომელი კოლმეურნეების ნაშრომის შედეგს. „

კარგად უნდა დავიმახსოვროთ გასული საისფო -სამეურნეო წლის გაკვეთილები და გამოცდილება, როცა მთელ რიგ კოლმეურნეობებში უნაყოფოდ ჩაარა პატიოსანი კეთილსინდისიერი კოლმეურნეების შრომამ იმის გამო, რომ მათ, ამ პატიოსანმა მშრომელებმა ვერ გამოიცხადეს ბრძოლა ქურდებს და არამზადებს, ვერ გამოაშკარავეს და ვერ განდევნეს თავიდან რიგიანად კულაკები, კულაკის დამქაშები და სხვა ანტი საბჭოთა ელემენტები.

ერთი წუთითაც არ უნდა დავკარგოთ ამ. სტალინის სიტყვები კლასობრივი ბრძოლა ახალი ტაქტიკის შესახებ.

„ეხლანდელი კულაკები და მოკულაკეები, ეხლანდელი ანტისაბჭოთა ელემენტები სოფლად—ეს უმეტეს ნაწილად „წყნარი“, „ტკბილი და თითქმის „წმინდა“ ხალხია. ისინი არ უნდა ვეძებოთ კოლმეურნეობებიდან მოშორებით, ისინი მოკალთებული არიან თვით კოლმეურნეობაში და მათ იქ უჭირავთ კუმპანიების, სამწყო ნაწილის გამგეებს, მთავარაძეებს, მდივნებს და სხვ. თანამდებობანი. ისინი არასოდეს აო იტყვიან „ძირს კოლმეურნეობები“. ისინი „მხარს უჭერენ“ კოლმეურნეობებს. მაგრამ ისინი კოლმეურნეობებში აწარმოებენ ისეთ საბოტაჟურ და მავნებლურ მუშაობას, რომ კოლმეურნეობები მთელ ხეირს ვერ ნახავენ..

„კულაკები დამარცხებულები არიან, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ არიან საბოლოოდ მოსპობილი, კიდევ მეტი—ისინი არც ასე ჩქარა მოისპობიან, თუ კომუნისტები დაუწყებენ მთქნარებას და მეცდინეობენ მოსვენებას იმ იმედით, რომ კულაკები თვითონ ჩაწვებიან სამარეში, ასე ვთქვათ, თავისი სტიქიური განვითარების წესით“.

კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი კადრების შერჩევა და აღზრდა, უპარტიო საკოლმეურნეო აქტივის შემდგომი გაძლიერება და მათთან ბოლშევიკური მუშაობა, საკოლმეურნეო შრომისა და საკოლმეურნეო საქონელი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შთანერგვა კოლმეურნეებისათვის და ბრძოლა ანტისაბჭოთა ელემენტების, ზარმაცების, ქაფსაცების და არამზადების წინააღმდეგ — ამ ამოცანა

ამჟამად ჩვენ ოლქში გვაქვს 1.200 კოლმეურნეობა, რომელთაგან 1.100 ჩვენ სამხ.ქ.ნა-სატრაქტორო სადგურების ნინაა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ოლქში ძირითადად დამთავრებულია კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ - სამეურნეო გაძლიერების ამოცანა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ოლქში ძირითადად დამთავრებულია ის ამოცანა, რომელიც ჩვენ ოლქის მუშაგლეხკორებმა დაისახეს ჩვენ ოლქის პირველ საოლქო ყრილობაზე

სტალინური აგრო-საწარმოო დღე

„გადავაქციოთ ყველა კოლმეურნეები შეძლებულებად“

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინური აგრო-საწარმოო დღე ახალსოფლის ამხ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში

(„კომუნისტი“-ს სპეციალური ბრიგადისაგან)

დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ საკავშირო ყრილობაზე ამხ. **სტალინმა** სთქვა: „რომ დავიძრათ წინ და საბოლოოდ განვამტკიცოთ კოლმეურნეობები, ჩვენ უნდა გადავდგათ მეორე ნაბიჯი, ჩვენ უნდა მივაღწიოთ ახალ წარმატებას. რაში მდგომარეობს ეს ახალი ნაბიჯი? იგი მდგომარეობს იმაში, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ კოლმეურნეები, — ყოფილი ღარიბი გლეხებიც და ყოფილი საშუალო გლეხებიც. იგი მდგომარეობს იმაში, რომ **გადავაქციოთ ყველა კოლმეურნეები შეძლებულებად.**

ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ კოლმეურნეობების მეოხებით ღარიბები ავიყვანეთ საშუალო გლეხების დონემდე. ეს ძალიან კარგია, მაგრამ ეს ცოტაა. ჩვენ ეხლა უნდა მივაღწიოთ იმას, რომ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ წინ და **დავეხმაროთ ყველა კოლმეურნეებს — ყოფილ ღარიბებსაც და ყოფილ საშუალო გლეხებსაც—ამაღლდნენ შეძლებულ გლეხთა დონემდე. ამის მიღწევა შეიძლება და ჩვენ უნდა მივაღწიოთ ამას რადაც არ უნდა დაგვიჯდეს“.**

პირველი დამკვრელ კოლმეურნის ამხ. სტალინის ამ სიტყვებში. მოკემშულია ყველაფერი ის რაც არის ეხლა მთავარი საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში. რაც სწყვეტს ჩამორჩენილობისა და სიღარიბესაგან მშრომელი გლეხების საბოლოოდ განთავისუფლების ამოცანას. ამხ. სტალინის ამ სიტყვებშია აგრეთვე მოცემული კოლმეურნეთა მატერიალურ კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესების კონკრეტული გზა, ეხლანდელი კოლმეურნეობების ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად გადაქცევის გზა.

ამ ცოტახნის წინად საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავდენ, რომ უკვე „დადგა დრო როცა მეურნეობის ზრდიდან სათესი ფართობის გადიდების გზით საჭიროა მობრუნება ბრძოლისაკენ მიწის უკეთ დამუშავებისათვის, მოსავლიანობის გადიდებისათვის, როგორც მთავარი და ცენტრალური ამოცანებისაკენ სოფლის მეურნეობის დარგში განვითარების ეხლანდელ საფეხურზე“.

ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირში მშრომელ გლეხთა ძირითადი მასები გაერთიანებული არიან კოლმეურნეობებში, ისინი განთავისუფლებულ არიან კულაკის კაბალისაგან; ინდივიდუალურ მეურნეთა წვრილი ნაკვეთები, ეხლა კოლმეურნე გლეხობის მიერ გაერთიანებულია მსხვილ მასივებად; შეიჭრებლივ იზრდება სათესი ფართობები. სოფლად გაიგზავნა და იგზავნება უამრავი სასოფლო - სამეურნეო იარაღ - მანქანები, ტრაქტორები, კომბაინები ყველაფერი ეს წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას მოსავლიანობის გადიდებისათვის.

საკოლმეურნეო მინდვრების მოსავლიანობის ნამდვილად გადიდება — აი რა უზრუნველყოფს კოლმეურნეობაში გაერთიანებულ ღარიბ საშუალო გლეხების ამაღლებას შეძლებულ გლეხთა დონემდე, ყველა კოლმეურნის გადაქცევას შეძლებულად.

საბჭოთა კავშირის მოწინავე კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა დაავროვეს მდიდარი გამოცდილება ამ დარგში. ამხ. სტალინის ლოზუნგის განხორციელებისათვის დღეს იბრძვიან საკოლმეურნეო მინდვრების დამკვრელები ყველა რესპუბლიკებში, ყველა მხარეებში და რაიონებში, მიმდინარე საგაზაფხულო თესვამ უნდა გადასწყვიტოს მოსავლიანობის გადიდების საკითხი.

ამ მიზანს უნდა ემსახუროს აგრო-საწარმოო დღის მოწყობა.

სენაკის რაიონის, ახალსოფლის ამხ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა „კომუნისტი“-ს ბრიგადა, რომელმაც ამხ. სტალინის ლოზუნგის განხორციელების და მოსავლიანობის ნამდვილად გადიდების საკითხებზე **კოლმეურნეობაში ჩაატარა სტალინური აგრო-საწარმოო დღე.**

საკოლმეურნეო პარტ უჯრედის მდივანი ამხ. შ. გაფრილია

ერთად ბრიგადების საწარმოო გეგმები დავიყვანეთ თვითეულ კოლმეურნემდე, ბრიგადები მიმაგრებულ იქნა ცალკე ნაკვეთებზე, გავაფორმეთ სოცშეჯიბრების ხელშეკრულებები და შეშდეგით მათ აღრიცხვას, შევაგროვეთ სიოს თესლი 18,85 ცენტნ. რაოდენობით. ლობიოს თესლის შეგროვებისა და იარაღ - მანქანების შეძენისათვის კი მივიღეთ სასწრაფო ზომები. კოლმეურნეთა აქტიური მონაწილეობით, გამომუდავნებულ იქნა საკოლმეურნეო ქონების მტაცებლები, განსაზოგადოებული მუშა-საქონლის გამყიდველები **ვასილ კუპრეიშვილი და სერაპიონ ჩიტაია,** რომლებიც მიცემულ იქნენ პასუხისგებაში. შრომის დეზერტირი. პარტიის წევრი **ლომენტი ჩიქობავას** საკითხი უჯრედის, ბიუროს დადგენილებით გადაეცა რაიკომკონტროლო კომისიას შრომის დეზერტირი, პარტიის წევრი კოკაია — გაირიცხა პარტიიდან. ყველა ამის შედეგად უკვე შესამჩნევად გაიზარდა კოლმეურნეთა ენტუზიაზმი. ხუთი დღის განმავლობაში — ოცდან 25 მარტამდე მოხდულ იქნა 65 ჰექტ., ფართობი -გეგმის 50 პროცენტზე მეტი. მივაღწიეთ მუშა - საქონლის სრული დატვირთვით გამოყენებას. 85 უღელი კამეჩიდან, რომელიც კოლმეურნეობას ჰყავს, სამუშაოზე ყოველდღიურად გამოდიოდა ყველა.

საკოლმეურნეო მინდვრების და მკვრელებმა გაზარდეს ხვნის ტემპები. მესამე ბრიგადის წევრი ამხ. **ივანე ჯოჯუა** დღიურად უკვე ხნავს 450 კვ. საჟ. ფართობს, **პოკრო ტყებუჩავა** 400, **ნიკო ჯოჯუა** 450, **ლავრენტი ჯოჯუა** 400, **სამსონ გაგუა** 480, **მიშა ციცხვაია** 400, მაშინ როდესაც გამომუშავების დღიური ნორმა ურჩის 375 კვ. საჟენს. ასევე მეოთხე ბრიგადაში სანიმუშოდ ხნავენ **მიშა ხუხია** (კომკავშირელია) **აკაკი ხუხია და კირილე გოგია.** კერძოთ კომუნისტები ამხ. **აკ. ხუხია, თ. ნაროუშვილი, გერასიმე ჩიქობავა, ნოე ტყებუჩავა, ლავრენტი გოგია,** და სხვ. წუნის გეგმების შესრულებაში იძლევიან სანიმუშო მაგალითებს. **პირველმა და მესამე ბრიგადამ და ცალკე კოლმეურნეებმა თავი გამოაცხადეს სტალინური აგრო-საწარმოო დღის დამკვრელებად.** ახალსოფლის საკოლმეურნეო მინდვრებზე მოედო ძლიერი ენტუზიაზმი საგაზაფხულო თესვის გეგმის შესრულების და მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებების ნამდვილად გატარებისათვის.

ბოლოთმენლად მოველით 20 მარტს საღამოს 6 საათს, ამ დროს დანიშნულია სტალინური აგრო-საწარმოო დღის მონაწილეთა შეკრება.

— ჩვენი შემოსავლის **ერთადერთ** წყაროს დღემდე სიმინდი წარმოადგენს. თუ მოვაშენებთ მეწველ საქონელს, შევქმნით მსხვილ ფერმას, ამით შევიძენთ შემოსავლის ახალ და ძლიერ წყაროს — ბოშეკა ამხ. ლ. გოგიამ.

კოლმეურნეებს შემოაქვთ კონკრეტული წინადადებები მინდვრათ მუშაობის ყველა დეტალების შესახებ, სტალინური აგრო-საწარმოო დღის თვითეული მონაწილე თავს ვალდებულად სთვლის, რომ საკუთარი გამოცდილება გაუზიაროს ხვებს, თავისი წვლილი შეიტანოს საერთო საქმეში.

დასახელებულ საკითხებს გარდა წინადადებები იყო შემოტანილი არხების გაყვანის, სარეველა ბალახებთან ბრძოლის, უხარვეზო და ღრმად მოხვნის, საქონლის სასუქის გამოყენების ტექნიკის, მუშა-საქონლის და მანქანა-იარაღების უკეთ მოვლის საშვალებების, მუყაითი შრომის დანერგვის, კლასიური მტრების, მუქთამეჭამელების და საკოლმეურნეო საკუთრების მტაცებლების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების შესახებ.

იყო აგრეთვე 135 სხვადასხვა შინაარსის შეკითხვა, რომლის შესახებ მკაფიო და ამომწურავ პასუხს იძლეოდა სამანქანო - სატრაქტორო სადგურის აგრონომი ამხ. **ორჩიგავა.**

არ იყო არც ერთი მინდვრად მომუშავე კოლმეურნე, რომელსაც ჩვენ არ ვიცნობდით, რომლისგანაც არ გაგვეგო და არ შეგვესწავლა მისი საკუთარი გამოცდილება და პრაქტიკა.

შემოტანილ პრაქტიკულ წინადადების და შეკითხვების საფუძველზე სტალინური აგრო-საწარმოო დღის ალსანიშნავად კოლეუნეებმა ამხ. სტალინის ლოზუნგის განხორციელების, საკოლმეურნეო მინდვრების მაღალი მოსავლის მიღწევისა და საგაზაფხულო ხვნა-თესვის ვადაზე და მაღალი ხარისხით დამთავრებისათვის აიღეს

„გადავაქციოთ ყველა კოლმეურნეები შეძლებულებად“

26 მარტი. ავდრიანი დღის საღამოა. კოლმეურნეები დანიშნულ ადგილზე ადრე გროვდებიან, მათ ესალმებიან ლოზუნგები სკოლის, სოფლის საბჭოს ბინის და კლუბის კედლებიდან. **„ნამდვილად გავადიდოთ საკოლმეურნეო მინდვრების მოსავლიანობა“** „დაეუფლოთ აგრო-საწარმოო ტექნიკას“—მთლიანად შეესრულოთ საგაზაფხულო თესვის გეგმები“. „გავაძევოთ კოლმეურნეობიდან კულაკური ელემენტები, შევქმნათ შრომის მტკიცე დისციპლინა“. **„სტალინური აგრო-საწარმოო დღე გადავაქციოთ ამხ. სტალინის ლოზუნგის განხორციელების და მოსავლიანობის გადიდების მძლავრ ბერკეტად“.** კოლმეურნეებს ესალმებიან აგრეთვე **„კომუნისტი“-ს** ნაბეჭდი ფურცლები, რომლებიც სპეციალურად სტალინური აგრო-საწარმოო დღისათვის არიან გამოცემული.

მოდიან კოლმეურნეები, მოდიან კოლმეურნე ქალები. აქ არიან მეზობელი კოლმეურნეობის წარმომადგენლები, ესწრებიან სენაკის პარტრაიკომის, რაიაღმასკომის, სამანქანო - სატრაქტორო სადგურის და სხ. ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკები. აქ არიან საჭ. კ.პ. (ბ) ცეკას ბრიგადის წევრები, რომლებსაც განზრახული აქვთ ამხ. სტალინის სახ. კოლმეურნეობის გამოცდილების, გადატანა სხვა კოლმეურნეობებში.

დარბაზი ძლივს იტევს დამსწრეებს, სრულ 6 საათზე — სტალინური აგრო-საწარმოო დღეს გახსნილად აცხადებს საკოლმეურნეო უჯრედის მდივანი ამხ. **შ. გადილია.** ლაპარაკობს „კომუნისტი“-ს წარმომადგენელი სტალინურ აგრო - საწარმოო დღის მნიშვნელობის შესახებ.

გადაედავართ მოსავლიანობის გადიდების საკითხების შესახებ შემოტანილ პრაქტიკულ წინადადებების და შეკითხვების განხილვაზე.

კოლმეურნეებს და კოლმეურნე ქალებს შემოაქვთ თავიანთი პრაქტიკული წინადადებები, რომლებიც მათ კარგად აქვთ მოფიქრებული და დამუშავებული.

— მოუსვლიანობის მთავარი მიზეზი — ამბობს ამხ. **ხუხია** აის, რომ ჩვენ ყოველწლიურად ვაგვიანებთ ხვნა-თესვას. აქაური მიწა მოითხოვს ადრე დათესვას. წელს **რადაც არ უნდა დაგვიჯდეს თესვა უნდა დავამთავროთ პირველ მაისამდე.** მე ვიცი საკუთარი გამოცდილებიდან, რომ პირველ მაისის შემდეგ დათესილი ყანების მეტი ნაწილი იღუპება, სიმინდი ვეღარ ასწრებს განვითარებას, მას უსწრებს შემოდგომის სუსხი და აოხრებს.

— რომ ნამდვილად გავადიდოთ მოსავლიანობა, ლაპარაკობს ამხ. **ბ. კორშია,** ამისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ ადრეული ხვნა არც ადრე დათესვა, ყველა ამის გარდა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნათესვების მოვლას. ჩვენ გასულ წლებში ერთხელაც ძლივს ვთოხნიდით ყანებს. მეორე და მესამე გათოხნისათვის თავს არავინ იტკიებდა. მხოლოდ ეს იყო დაბალი მოსავლის მიზეზი. კორშიას შემოაქვს წინადადება, რომ **მიღებული იქნეს როგორც წესი ნათესების სამჯერ გათოხნა და კულტივაცია.**

ამხ. **გრ. გადილია** აყენებს საკითხს კართოფილის თესვის შესახებ.

— ჩემი აზრით სთქვა მან, ბაზრისათვის კართოფილის მოყვანა ჩვენი კოლმეურნეობის შეძლებას დიდად წასწევს წინ. ამის დრო, საშუალება და ნაკვეთი ჩვენ გვაქვს. საჭიროა მხოლოდ მათი საქმიანად გამოყენება.



კოლმეურნეობის დამკვრელი მოანგარიშე ამხ. ნ. ტყებუჩავა

ამხ. **ფიფია** მოითხოვს ბოსტნეული კულტურების მეტი რაოდენობით თესვას. ბოსტანს ჩვენ არ ვაქცევთ საჭირო ყურადღებას, აცვდების ფიფია. ჩვენ დღემდე გვგონია, რომ ბოსტანი, ასე ვთქვათ ჩვენი შინაური, ოჯახური საქმეა. მე გაზეთებში წავიკითხე, რომ არიან კოლმეურნეობები, სადაც მხოლოდ ბოსტნეულს სთესავენ და იჭარი კოლმეურნეები ძალიან კარგად ცხოვრობენ. კიდევ მეტიც. ბოსტნეულის გაშენებისათვის მოწყობილია ათეული საბჭოთა მეურნეობები. ჩვენს რაიონში უდიდესი გასაღება აქვს ბოსტნეულს, მე შემომაქვს წინადადება, **შემხვედრი გეგმით,** მიმდინარე გაზაფხულზე გამოვყოთ სპეციალური ნაკვეთები ბოსტნისათვის. ბოსტანი ჩვენს კოლმეურნეობას მისცემს შემოსავლის დამატებით წყაროს.

ამხ. **ნოე ტყებუჩავა** აუცილებელ საჭიროდ სთვლის კოლმეურნეობაში აგრო - ტეხნიკის დაუფლების წრის ჩამოყალიბებას. ამხ. **ჩიქობავა** — თესლბრუნვის შემოღებას, მიმდინარე წლიდან.

ლ. გოგის წინადადებით კოლმეურნეობამ უნდა შექმნას შემოსავლის ახალი წყარო. — ეს იქნება გარე სამუშაოზე გასვლის მოწესრიგება, მეწველ საქონლის საუკეთესო მოვლა.

საკოლმეურნეო მინდვრების და მკვრელებმა გაზარდეს ხვნის ტემპები. მესამე ბრიგადის წევრი ამხ. **ივანე ჯოჯუა** დღიურად უკვე ხნავს 450 კვ. საჟ. ფართობს, **პოკრო ტყებუჩავა** 400, **ნიკო ჯოჯუა** 450, **ლავრენტი ჯოჯუა** 400, **სამსონ გაგუა** 480, **მიშა ციცხვაია** 400, მაშინ როდესაც გამომუშავების დღიური ნორმა ურჩის 375 კვ. საჟენს. ასევე მეოთხე ბრიგადაში სანიმუშოდ ხნავენ **მიშა ხუხია** (კომკავშირელია) **აკაკი ხუხია და კირილე გოგია.** კერძოთ კომუნისტები ამხ. **აკ. ხუხია, თ. ნაროუშვილი, გერასიმე ჩიქობავა, ნოე ტყებუჩავა, ლავრენტი გოგია,** და სხვ. წუნის გეგმების შესრულებაში იძლევიან სანიმუშო მაგალითებს. **პირველმა და მესამე ბრიგადამ და ცალკე კოლმეურნეებმა თავი გამოაცხადეს სტალინური აგრო-საწარმოო დღის დამკვრელებად.** ახალსოფლის საკოლმეურნეო მინდვრებზე მოედო ძლიერი ენტუზიაზმი საგაზაფხულო თესვის გეგმის შესრულების და მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებების ნამდვილად გატარებისათვის.

კონკრეტული ვალდებულებები

